# სპორტი

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

29 მაისი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 99 (105 11) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების დღეს მიეძღვნა

**კარგა ხანია, ახე არ გამოცოცხლებულა და გახალისებულა ბათუმის ქუჩები. 25 მაისს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა სპორტულმა ზეიმმა თავისებური ხიბლი შემატა ქალაქს.**

**ზუთახი ენთუზიასტი გამოვიდა მძლეოსნური კროსის სტარტზე. ყველაზე უმცროსი მონაწილე 6 წლისა იყო, უხუცესი კი — 60-ისა.**

**უჩვეულოდ აყრიამულებულიყო საჭადრაკო კლუბი „ნონა“, რომელსაც შაშისა და ჭადრაკის მოყვარულები ეწვივნენ.**

**ქალაქის სპორტულ ,ბაზებზე მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები ხიმძიმეების აწევაში, ცურვაში, ჩოგბურთში, ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში.**

**ზეიმის თაოსანი გახლდათ სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ აკადემიის ხაოლქო ხაბჭო, რომელმაც მართლაც კარგად გაართვა თავი საქმეს.**

**მუხრან კობალაძე**

**სპორტსაზოგადოება** „შევარდენის“ გურჯაანის რაიონული საბჭოს ინიციატივით სპორტკომპლექს „გურჯაანში“ მოეწყო მინიფეხბურთელთა ტურნირი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. ტურნირში მონაწილე 10 გუნდიდან უძლიერესნი სოფელ გურჯაანისა და კალაურის ფეხბურთელები აღმოჩნდნენ და ფინალშიც სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, პენალტების სერიაში გურჯაანელებმა მიაღწიეს წარმატებას — 4:3 (1:1).

**ანდრო არევაძე**

**9 აპრილის სახელობის ბაღში თბილისის სპორტკომიტეტმა და „შევარდენის“ ხაქალაქო ხაბჭომ გამართეს ქართული ჭიდაობის ზეიმი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის და პირველი პრეზიდენტის არჩევნების დღეს მიეძღვნა.**

**მონაწილეთა შორის იყვნენ დედაქალაქის ჭიდაობის სპორტსკოლების მოსწავლეები, გლდანელი და მარტყოფელი ნორჩი ფალავნები.**

**თბილისის** სახელმწიფო იპოდრომზე გაიხსნა ცხენთგამოცდის წლევანდელი სეზონი. სამწუხაროდ, ამჯერად იპოდრომზე ცხენის ნაკლებობაა და დღეები მხოლოდ ყოველი ორი კვირის თავზე გაიმართება, სეზონი კი მხოლოდ 9 სექტემბრამდე გასტანს. სურათზე, რომელიც თამაზ ქიქავამ მოგვაწოდა, თქვენ ხედავთ ცხენოსნურ ზეიმზე მარულაში გამარჯვებულ ყაზბეგელ მხედარს ვანო ხაიკაშვილს.

## სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე

**წლეულს**, როგორც ცნობილია, პირველად გაიმართება სრულიად საქართველოს სპორტული თამაშები. ამ კომპლექსურ ასპარეზობას ერთობლივად ჩაატარებენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი. სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე იმსჯელეს თამაშებისათვის მზადების მიმდინარეობის თაობაზე. როგორც აღინიშნა, უაძრაესი ორგანიზაციული საკითხი თანდათან გვარდება, ყველაფერი კეთდება, რათა ასპარეზობა სანიმუშოდ ჩატარდეს. ორგკომიტეტის შტაბის ხელმძღვანელმა, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ვ. კაჭარავამ დეტალურად გააანალიზა დღემდე გაწეული მუშაობა და აღმასკომს წარუდგინა მთელი რიგი საკითხები, რომელთაც ახლო მომავალში სპორტის დეპარტამენტთან ერთობლივ სხდომაზე განიხილავენ.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საბერძნეთს, როგორც ოლიმპიური მოძრაობის სამშობლოს, აჩუქა საგანგებო ჭანდაკება, რომლის ავტორია ხუროთმოძღვარი გ. შხვაცაბაია. ამ დღეებში გ. შხვაცაბაია დაბრუნდა საბერძნეთიდან, სადაც მასპინძლებთან ერთად შეარჩია ქანდაკების დასადგმელი ადგილი. მან აღმასკომის წევრებს მოუთხრო იმ უდიდეს ენთუზიაზმზე, რაც სეოკ-ის საჩუქარმა გამოიწვია ანტიკური კულტურისა და ხელოვნების ქვეყანაში, მანვე საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტისა და ათენის მერის მადლობის წერილები გადასცა სეოკ-ის პრეზიდენტს ქალბატონ ნ. გაფრინდაშვილს.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება, ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით გაისად, სპორტულ ჟურნალისტთა მონაწილეობით, მოაწყოს საავტომობილო ლაშქრობა თბილისიდან ათენამდე. სეოკ-ის აღმასკომმა მხარი დაუჭირა ამ თაოსნობას, გამოითქვა სურვილი, რომ უმჯობესია მოლაშქრეთა ჩასვლა საბერძნეთში ჩვენგან გაგზავნილი ქანდაკების გახსნის ზეიმს თუ დაემთხვევა.

სეოკ-ის აღმასკომის დავალებით, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში რამდენიმე დღე დაჰყო სეოკ-ის წევრმა დ. კილასონიამ, აღმასკომის სხდომაზე მოისმინეს მისი ანგარიში. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ სრულიად საქართველოს სპორტულ თამაშებში. ამ საკითხს სეოკ-ის აღმასკომი და სპორტის დეპარტამენტი დამატებით ერთობლივ სხდომაზე განიხილავენ.

## უკან წაიღო საჩივარი

**როგორც** გუშინ ვიუწყებოდით, მსოფლიო ექსჩემპიონმა პროფესიონალ მოკრივეთა შორის ეიკ ტაისონმა სასამართლოში უჩივლა მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს და მოითხოვა იმ წესის გაუქმება, რომლის თანახმადაც, ჩემპიონი ყოველი მატჩიდან ჰონორარის 75 პროცენტს იღებს, პრეტენდენტი კი — 25-ს. და აი, მოვიდა ახალი ცნობა იმის შესახებ, რომ ტაისონმა სასამართლოდან გაიტანა თავისი საჩივარი.

რა მოხდა? რატომ შეცვალა ასე სწრაფად ექსჩემპიონმა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება? ჟურნალისტები თავს იმტვრევენ ამ საიდუმლოს ამოსახსნელად, მაგრამ სიმართლეს ჯერ ვერ მიაგნეს. როგორც ცნობილია, ტაისონმა პროტესტის კამპანია წამოიწყო იმის გამო, რომ ჰოლიფილდთან მომავალ შეხვედრაში ჰონორარის 45 პროცენტს „დაინთრევდა“, მაგრამ, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ამ ავანტიურიდან არაფერი გამოვიდოდა.

სხვათა შორის, ჟურნალისტებმა, რომლებიც მსგავს შემთხვევაში, მუდამ გახმაურებული სკანდალის მომხრენი არიან, ამჯერად არ დაუჭირეს მხარი ექსჩემპიონს. ერთ-ერთმა გაზეთმა კი პირდაპირ აღნიშნა: „მოჰამედ ალის შემდეგ მსოფლიოს ყველაზე დიდმა მოკრივემ (ტაისონი დიდი ხანია ასე უწოდებს თავის თავს — რედ.) უმჯობესია, თავისი უფლებები და პრეტენზიები რინგზე დაამტკიცოს და არა სასამართლოს კულუარებში“.

ვინ იცის, თავის განზრახვაზე ხელი ტაისონს იქნებ ჟურნალისტთა მტრულმა პოზიციამაც ააღებინა? მით უფრო, რომ მსოფლიო ექსჩემპიონი მუდამ უწევდა ანგარიშს პრესას.

### ინფორმაცია

**ჩოგბურთელთა** საფრანგეთის ღია ჩემპიონატის პირველ შეხვედრათაგან ყველაზე სენსაციურად დასრულდა ანდრეი ჩერკასოვისა (სსრკ) და აშშ-ის ჩოგბურთის ვეტერანის, 32 წლის ჯონ მაკინროუს შეხვედრა. ანგარიშით 2:6, 6:4, 7:5, 7:6 გაიმარჯვა ჩერკასოვმა. მაკინროუსგან განსხვავებით, იყოჩაღა მეორე გამოჩენილმა ამერიკელმა, 38 წლის ჯიმი კონორსმა — მან დაამარცხა 27 წლის თანამემამულე ტოდ უოტსკენი — 6:3, 6:3, 6:3. ქალთა ტურნირში შტეფი გრაფმა მოუგო მაგდალენა მალეევას — 6:3, 7:6.

### სპორტის დეპარტამენტი და ფედერაციები

#### სამგო

**სპორტის** ამ სახეობაში რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ნოდარ ექვთიმიშვილი. ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მურად მწარიაშვილი, გენერალურ მდივნად — გია ოქროპირიძე.

#### მძლეოსნობა

**დამფუძნებელ** ყრილობაზე საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს „სტალმშენმონტაჟის“ საქართველოს განყოფილების მთავარი სამმართველოს უფროსი გივი გამყრელიძე, პრეზიდენტად — თამაზ მდინარაძე, ვიცე-პრეზიდენტად — ჯემალ ჯიქურაული, გენერალურ მდივნად — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გივი ჩადუნელი.

#### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

**დამფუძნებელ** ყრილობაზე ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი რომან რურუა, ვიცე-პრეზიდენტად — ალბერტ კუხიანიძე, გენერალურ მდივნად — ვაჟა გოგიაშვილი. ამავე თავყრილობაზე აირჩიეს საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელიც. ეს ხდობა ფალავანთა ცნობილ აღმზრდელს დავით დავითაიას გამოუცხადეს.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორი კახი ასათიანი.

• • •

**სამშაბათს**, 4 ივნისს, 15 საათზე ფიზკულტურის ინსტიტუტის საქტო დარბაზში დანიშნულია ძიუდოში ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები. როგორც ვიუწყებოდით, ამ საკითხს გადაწყვეტა ფედერაციის პრეზიდენტის ბილარ ხაბულიანის თხოვნით და ყრილობაზე შეთანხმებით, ახლო მომავლისათვის იყო გადადებული.

ფაქტები უკომენტაროდ

## ცენტრი ბალტიისპირეთს და პირიქით...

ლიტველმა სპორტსმენებმა ჯერ კიდევ შარშან გაწყვიტეს ცენტრთან ურთიერთობა. ახლა მოვიდა ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვ. სიჩმა და ლიტვის ფედერაციის პრეზიდენტმა ს. სტონკუსმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც საკავშირო ფედერაცია ლიტვის ფედერაციას დაეხმარება მსოფლიო სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლასა და საერთაშორისო ფედერაციაში (ფიბა) გაწევრიანებაში.

ხელშეკრულების თანახმად ლიტვა სასწავლო-საწვრთნელი შეკრებებისათვის სპორტულ ბაზებს დაუთმობს საბჭოთა ნაკრებს, გაცვლიან სპეციალისტებს, მსაჯებს, მოთამაშეებს, გაისიდან, თუ მოისურვებს, ლიტვას შეუძლია თავისი გუნდი კვლავ გამოიყვანოს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, რომელიც 1992 წლიდან ღია ასპარეზობა იქნება. ამასთან, ლიტვის ფედერაცია წინააღმდეგ არ წავა, თუ ამ რესპუბლიკის კალათბურთელები საბჭოთა ნაკრებში თამაშს გადაწყვეტენ.

საბჭოთა კავშირის კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ლატვიაშიც ჩავიდნენ. ორ ფედერაციას შორის აქაც დაიდო ხელშეკრულება, ლატვიელი კალათბურთელებიც გამოვლენ საკავშირო შეჯიბრებებში. როგორც იუწყებიან, წყდება ესტონეთის კალათბურთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხიც. მაგრამ უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ „კალევის“ მოთამაშეები ტ. სოკი და ა. კუუსმა წლეულს 1 ივლისიდან საბჭოთა ნაკრებში ითამაშებენ.

## გმადლობთ, ოსტატო!

**ოსტატისა** და შეგირდის ინსტიტუტი საქართველოში ოდითგანვე ჩამოყალიბდა. ასე იყო ფიზიკური აღზრდის ხალხურ სისტემაშიც, სპორტის ეროვნულ და, თუ გნებავთ, საერთაშორისო სახეობებშიც, სადაც საქართველოს შორს გაუთქვეს სახელი ჩვენმა სპორტსმენებმა.

ბიძინა მაზიაშვილი — ამ კაცის ტიტულებით მოხსენიება, ვფიქრობთ, არ არის აუცილებელი, რადგან ისედაც კარგად იცნობს ყველა მისი ნაღვაწ-ნაამაგარით.

განსაკუთრებით ძიუდოისტები ამაყობენ თავიანთი ოსტატით. ეს მათ ამ დღეებშიც დაამტკიცეს სოფელ გლდანში, კულა გლდანელის სახელობის საჭიდაო დარბაზში აღმზრდელთან შეხვედრისას. აქ უმთავრესად ვეტერანი ფალავნები იყვნენ შეკრებილნი.

გადაწყდა, ახლო მომავალში რომელიმე ცნობილი სპორტსმენის სახელზე გახსნან საბანკო ანგარიში და თანხები მთლიანად ძიუდოს შემდგომ განვითარებას მოხმარდეს. დამოუკიდებელი საქართველოს ფალავნებს ხომ ამიერიდან მეტი თანადგომა დასჭირდებათ.

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოები.

# 3 წლის შემდეგ — ეროვნულ ჩემპიონატში



ნინო სალუქვაძე

დიანა ავეტისიანი



მამუკა ბოსტოღანაშვილი



არტემ ძამოევი

ილია ჩაგანავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს** ეროვნულმა ჩემპიონატმა ტყვიის სროლაში სპეციალისტთა უჩვეულო ინტერესი გამოიწვია. მიზეზი? — ჯერ ერთი, რომ მასში მონაწილეობდა მსოფლიოს საუკეთესო მსროლელი ქალი — ნინო სალუქვაძე (მან უკანასკნელად 3 წლის წინ იასპარეზა რესპუბლიკურ პირველობაში), მეორეც, შეჯიბრებამდე ორიოდე დღით ადრე დაფუძნდა სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ფედერაცია. ფაქტობრივად, ეს ახალშექმნილი ორგანიზაცია უნდა გასძღოლოდა ეროვნულ ჩემპიონატს. ფედერაციის ხელმძღვანელობამ, მართლაც, ყველაფერი იღონა ტურნირის უნაკლოდ ჩასატარებლად.

ასპარეზობის მაღალი დონე, უპირველესად, განაპირობა იმან, რომ მასში რესპუბლიკის თითქმის ყველა უძლიერესი მსროლელი მონაწილეობდა ვლადიმერ სამოილენკოსა და ტატიანა კაზარიანის გარდა (დავინთ, რომ ზოგიერთმა საშუალო კლასის მსროლელმაც აარიდა თავი შეჯიბრებას), რომლებიც მინსკში გაემგზავრნენ არმიელთა მორიგ ასპარეზობაზე. რესპუბლიკურმა ფედერაციამ, სავსებით სამართლიანადაც, მათ საერთოდ აუკრძალა მომავალ რესპუბლიკურ ტურნირებში მონაწილეობა.

პნევმატური პისტოლეტით (პშ-2) მოასპარეზე სპორტსმენებში გამარჯვებულის გამოცნობა ძნელი არ გახლდათ: ცხადი იყო, ნინო სალუქვაძე არავის დაუთმობდა პირველობას. ასეც მოხდა — მან 481 ქულა მოაგროვა და 17 ქულით აჯობა ქუთაისელ სეზნიას — ნინო უჩაძეს, ბუნებრივია, დაგვაინტერესა, სალუქვაძის ეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდი ხომ არ იყო. ამაოდ დავშვრით: ნინომ თურმე 4 წლის წინ ფანტასტიკური შედეგით — 496 ქულით გაიმარჯვა ამ შეჯიბრებაში და დღეს, ალბათ, თავადაც გაუკვირდება ამ რეკორდის გაუმჯობესება.

პშ-4 სახეობის იარაღით უმრავლეს შემთხვევაში დიანა ავეტისიანი და ხათუნა ბერიკაშვილი იყოფდნენ ხოლმე I-II ადგილებს. ასე იყო ამჯერადაც: დამატებითი სერიის დაწყებამდე მათ თითქმის თანაბარი რაოდენობის ქულები მოაგროვეს, მაგრამ საბოლოოდ ავეტისიანმა იმარჯვა და 9 ქულით გაუსწრო მეტოქეს.

მამუკა ბოსტოღანაშვილმა უკანასკნელ ხანს საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოს თასის გათამაშებაშიც იმარჯვა. მას არც ახლა უმტყუნა ბედმა და საქართველოს ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა (პშ-3).

პნევმატური შაშხანით (პშ-6) შეჯიბრებაში არტემ ძამოევმა იმარჯვა, მოძრავ სამიზნეებზე კი ილია ჩაგანავა იყო უხუსტესი — მან სულ მცირედით აჯობა დავით აფციაურს.

აქვე დავძენთ, რომ ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთისა და სოხუმის წარმომადგენლები. ეს შემადგენლობა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა გამრავალფეროვნებულიყო, მაგრამ ზოგიერთ ქალაქში, მოგეხსენებათ, სპორტსმენებს არ გააჩნიათ ვარჯიშის ნორმალური საკარჯიშო პირობები იარაღის უქონლობის გამო, ამიტომაც არ არიან შესაფერის სპორტულ ფორმაში და ფედერაციის ხელმძღვანელებმა თავი აარიდეს მათ მოწვევას შეჯიბრებაზე.

სპორტის მოყვარულებს, ალბათ, აინტერესებთ, შეძლებს თუ არა ნინო სალუქვაძე საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობას. როგორც სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი ბოსტოღანაშვილმა გვითხრა, ნინო დიდი მონდომებით ვარჯიშობს, ამყარებს კონტაქტებს ერთ-ერთ უცხოურ სპორტული იარაღის მწარმოებელ ფირმასთან, აგრეთვე, ტყვიის სროლის საერთაშორისო ფედერაციასთან, რათა კვლავ გამოვიდეს საერთაშორისო ტურნირებში. პირველი უცხოური შეჯიბრება, რომელშიც საქართველოს ნაკრები და მის წევრთა შორის ნინო სალუქვაძეც იასპარეზებენ, დაგეგმილია ზაფხულში — ჩვენი გუნდი სირიაში უნდა გაემგზავროს საერთაშორისო ტურნირზე.

### ტექნიკური შედეგები:

**პშ-4.** 1. დიანა ავეტისიანი, 2. ხათუნა ბერიკაშვილი, 3. ნატალია ვანიჩენკო (ყველა — თბილისი).
**პპ-2.** 1. ნინო სალუქვაძე (თბილისი), 2. ნინო უჩაძე (ქუთაისი), 3. ოლგა სამოილენკო (თბილისი).
**პპ-3.** 1. მამუკა ბოსტოღანაშვილი, 2. სერგეი ოლიფერენკო, 3. ზურაბ თოთიაური (ყველა — თბილისი).
**პშ-6** 1. არტემ ძამოევი, 2. სერგეი სარქისიანი, 3. ოლეგ ოგოლენკო (სამივე — თბილისი). **პშ-12 (მოძრავი სამიზნეები)** 1. ილია ჩაგანავა (ქუთაისი), 2. დავით აფციაური, 3. სერგო ხერხეულიძე (ორივე — თბილისი).

# სხეული რვა რაკურსით — ასე წყდებოდა „ოქროს საწმისის“ ბედი

**რას** არ გაიგონებთ ამ ხალხის შესახებ: ზოგი ამბობს, მოცურილები არიანო, ზოგი ძალისმიერ სპორტის სახეობებში ხელმოცარულ ადამიანებად თვლის მათ, ზოგი — უბრალოდ, უცხოელ კინოვარსკვლავებს: შვარცენეგერს, სტალონეს, მათ კინოგმირებს ბაძავენო. მოკლედ, ჩვენში იშვიათად თუ ნახავთ კაცს, რომელსაც სჯერა, რომ კულტურისტი სპორტსმენია და იგი სპორტს ემსახურება.

სკეპტიკოსთა თავდაჯერების საუცხოო საშუალება — კი „ოქროს საწმისის“ საერთაშორისო ტურნირი იყო, რომელიც 19-20 მაისს გაიმართა თბილისში. ტურნირზე მოწვეულნი იყვნენ, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების, ასევე, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებიც, მაგრამ ეს უკანასკნელნი არ ჩამოსულან თბილისში. მხოლოდ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ჩოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებები გვეწვივნენ. გვეწვივნენ და ორი დღის განმავლობაში



დიმიტრი ზოლინი

მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლის სცენაზე „კუნთებგადმობრუნებული“ მამაკაცების ტევა არ იყო.

როგორც მოგახსენეთ, ნაღდი კულტურიზმი ჩვენში ახალი ხილია. არა, ყველა ჩვენგანს, მით უმეტეს, ახალგაზრდებს, იქნებ მოყოლილებულიც გვაქვს უცხოური ვიდეოფილმებიდან, პლაკატებიდან მომზირალი „კუნთმრავალი“ ვაჟკაცები, მაგრამ კულტურიზმს, როგორც სპორტის სახეობას, ჰა, ჰა, თავად ქართველ კულტურისტთა გარდა, რამდენიმე ათეული ადამიანი თუ იცნობს ხეირიანად. ამიტომ, ზედმეტი, არ იქნება, თუ ამ წერილს ერთგვარი განმარტებით — მცირე ინტერვიუთი დავიწყებთ. თანამოსაუბრე კი, მართლაც, ღირსეული გვყავს: ყველაზე პოპულარული კულტურისტი ქართველთაგან, „ოქროს საწმისის“ საერთაშორისო ტურნირის ლაურეატი დავით რაზმაძე.

**● დავით, კულტურისტებზე ამბობენ, თუ მოინდომა, რაც ხელში ძალა და ენერგია აქვს, ხსეულის ერთ წერტილში — ერთ კუნთში მოიქცევსო. შენ შეგიძლია შენს ძალას, ვთქვათ, ნეკა თითში მოუყარო თავი?**

დავითს გაეცინა...

— ეს, რა თქმა უნდა, მონაჭორია, ჭორის საბაბი კი, ალბათ, ჩვენი კუნთებია. სრულყოფილად განვითარებული კუნთი არ არის უსაზღვრო ძალის და ენერგიის უფეველი დასტური, მაგრამ არც ამაში ჩამოვუვარდებით ვინმეს.

**● კუნთმაგარ ხალხს რა გამოლევს, მაგრამ კულტურისტობას ბევრი ვერ ბედავს. მაინც რა პრინციპით აფასებს და განახვავებს მსაჯთა კოლეგია, ვთქვათ, თითქმის ერთნაირად განვითარებული კუნთოვანი სისტემის მქონე სპორტსმენებს?**

— უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენის აღნაგობას. მაგალითად, მხრები თუ დიდი გაქვს და წელი ზომაზე ვიწრო ან განიერი, ან თუნდაც პირიქით, არავის უნდიხარ, მიუხედავად „სუსტ წერტილში“ კუნთების თუნდაც უზომო სიდიდისა.

**● მაინც უმთავრესი, ალბათ, კუნთია...**

— აუცილებლად. თუ ზემოხსენებული პრობლემა (სხეულის პროპორციულობა) მოგვარებულია, წინა პლანზე სხვა პრობლემა წამოიწევს — კუნთების მოცულობა.

**● ვთქვათ, სხეული პროპორციულია, კუნთი ზომიერად განვითარებული, ამას ხომ დამტკიცება სჭირდება. როგორ?**

— როგორ? — თავად იხილავთ, როცა შეჯიბრება დაიწყება. წინასწარ ერთს გეტყვით: რომ დაამტკიცო ის, რაც ხარ, უნდა შეასრულო დგომი 8 სხვადასხვა პოზაში, მსაჯებმა 8 სხვადასხვა რაკურსით უნდა შეხედონ სხეულს და ამგვარად შეაფასებენ შენს შესაძლებლობას.

...და დაიწყო ასპარეზობა. არა ერთი და ორი, „8 პოზა“ ვიხილეთ ორი დღის განმავლობაში. მიუხედავად პროფესიონალი კულტურისტის დავით რაზმაძის სასარგებლო რჩევა-კონსულტაციისა, მაინც გამიმტყუნდა პროგნოზები — არა აბსოლუტური ჩემპიონის, არა წონით კატეგორიებში გამარჯვებულების, არამედ პრიზიორთა კანდიდატების გამოცნობისას — იმდენად უნაკლო და მომხიბლავი იყო თითოეული გამომსვლელის აღნაგობა და მოძრაობა.

ბუნებრივია, ჩემი ყურადღება უმთავრესად ქართველებისკენ იყო მიმართული. ჩვენმა ბიჭებმა კი, თუ ჩვენში კულტურიზმის განვითარების დონეს გავითვალისწინებთ, გვასახელეს. თბილისელმა ირაკლი ქარსიმაშვილმა 70 კგ წონაში პირველი ადგილი დაიკავა და ტურნირის მონაწილეთაგან პირველმა მოიგო ოქროს მედალი. აქვე უნდა ითქვას, რომ მან ქულათა საკმაოდ დიდი რაოდენობით აჯობა გამოცდილ მეტოქეებს: მოსკოველებს — ვიაჩესლავ ტურკინსა და ილია ალექსეენკოს. ეს კი ქართველი ათლეტისთვის დიდი სტიმულია.

ჩვენი „გზის გამკვალავი“ დავით რაზმაძე 80 კილოგრამში მოასპარეზე სპორტსმენებში ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა, მაგრამ, რომ იტყვიან, გაწაფულობამ მაინც თავისი გაიტანა — 40 წლის ოლეგ ჟურომ, რომელსაც კულტურიზმში ვარჯიშის მრავალი წლის გამოცდილება აქვს, „გადაუსწრო“ ქართველ ათლეტს და ჩემპიონობაც მოიპოვა. იმავე წონაში მეოთხე ადგილი დაიკავა თბილისელმა ზურაბ ნებიერიძემ, რომელიც შარშან პირველი იყო. დასამშვიდებლად კი ისღა დაგვრჩენია, რომ გავითვალისწინოთ — „ტანმომცრო უკრაინელი“ ოლეგ ჟური, მაყურებლებმა ტურნირის ყველაზე პოპულარულ მონაწილედ აღიარეს.

კიდევ ერთი მედალი მიითვალეს ქართველმა ათლეტებმა, ამჯერად ბრინჯაოსი. გოჩა ჭუშაშვილმა (90 კგ) III ადგილი დაიკავა. თითქმის ყველა წონით კატეგორიაში გამოდიოდა 5-6 უძლიერესი მონაწილე, მაგრამ, თუ სადმე იყო „ვარსკვლავკოცვენა“, ალბათ, სწორედ ამ წონაში. ბრინჯაოს პრიზიორობა კი ამგვარი კონკურენციის პირობებში, მერწმუნეთ, ორმაგად დასაფასებელია. ამიტომაც იყო, რომ ტურნირის ერთ-



ირაკლი ქარსიმაშვილი

ერთმა მონაწილემ ღიმილით გადასძახა გოჩა ჭუშაშვილს — შენს ბრინჯაოს ოქროს ფერი დაჰკრავსო...

მძიმე წონა, საერთოდ, სპორტის ნებისმიერ სახეობაში, ყველაზე პრესტიჟულ წონით კატეგორიად ითვლება. ასეა კულტურიზმშიც. ამიტომაც, როცა მსაჯმა-ინფორმატორმა გამოაცხადა, მძიმე წონის ათლეტების გამოსვლა იწყებაო, მაყურებელი გაორმაგებული ინტერესით მოემზადა მათ სახილველად, მაგრამ მხოლოდ ალექსანდრე ვასინმა მიიღო აქ მონაწილეობა. დიახ, მხოლოდ ერთი სპორტსმენი „სცდიდა ბედს“.

ეს არ იყო ერთადერთი იმედგაცრუება მაყურებლისა: ქალთა ტურნირშიც მხოლოდ ერთი „ათლეტი“ ასპარეზობდა — მოსკოველი ოქსანა ტალაგაევა და ვასინის მსგავსად, მასაც ყოველგვარი ბრძოლის გარეშე გადაეცა ოქროს მედალი.

ტურნირზე თავმოყრილ კულტურისტთა „თანავარსკვლავედიდან“ ერთ ათლეტს უნდა რგებოდა „ოქროს საწმისის“ აბსოლუტური ჩემპიონის საპატიო წოდება და შემთხვევითი არ იყო, რომ მას დიმიტრი ზოლინი დაეუფლა. „სხეულის პროპორციულობის ნიმუში“ — ასე უწოდა მაყურებელმა გამარჯვებულ კულტურისტს.

მოკლედ, „მოგვტაცეს“ ოქროს საწმისი“ და ნუგეშად სამი სხვადასხვა ხარისხის მედალი დაგვიტოვეს. რა იქნება მომავალში? როგორც საბელმწიფო მწვრთნელმა კულტურიზმში კოტე მაცაბერიძემ გვითხრა, მომავალი დამაიმედებელია, სპორტსმენები, სპეციალისტები, მწვრთნელები ყველაფერს იღონებენ, რომ გაიზარდოს ქართველ ათლეტთა ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად ჩვენს სპორტსმენებს საკმაოდ მწირი საშუალება აქვთ — თანამედროვე მოთხოვნებისთვის შეუსაბამო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მწვრთნელთა კადრების დეფიციტი, არც თუ სახარბიელო ფულადი სახსრების რაოდენობა. გარდა ამისა, ისიც აღვნიშნოთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში კულტურიზმს აკლია მასობრიობა, იქნებ ზემოაღნიშნული მიზეზების გამოც.

ქართული სპორტის საკავშირო სტრუქტურებისაგან გამოყოფამ კულტურისტებიც იზოლაციის საშიშროების წინაშე დააყენა, თუმცა, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიასთან შენარჩუნებულია საქმიანი კონტაქტები, ურთიერთობა ღრმავდება საბჭოთა კავშირში შემავალ ზოგიერთ რესპუბლიკასთან, უმთავრესი საზრუნავი კი, როგორც მაცაბერიძემ აღნიშნა, საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებაა...

**ლევან ჯავახიშვილი**

• • •

### ტექნიკური შედეგები:

**70 კგ:** ირაკლი ქარსიმაშვილი (საქართველო), 2. ვიაჩესლავ ტურკინი, ილია ალექსეენკო (ორივე — მოსკოვი). **80:** 1. ოლეგ ჟური (უკრაინა), 2. დავით რაზმაძე (საქართველო), ალექსანდრე ბაბაევი (უკრაინა). **90:** 1. დიმიტრი ზოლინი (რუსეთის ფედერაცია), 2. გენადი დეი (მოსკოვი), 3. გოჩა ჭუშაშვილი (საქართველო). **მძიმე წონა** — ალექსანდრე ვასინი (რუსეთის ფედერაცია).

**აბსოლუტური პირველობა. მამაკაცები** — დიმიტრი ზოლინი (რუსეთის ფედერაცია). ქალები — ოქსანა ტალაგაევა (მოსკოვი).

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

უმაღლესი ჯგუფი

## II ტურის გაპროტესტებული მატჩი

**„სულორი“ (ვანი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 5:1, (3:1).**

**ვანი. გ. ნიკოლეიშვილის სახელობის სტადიონი. 27 მაისი.**

**„სულორი“: კიკალეიშვილი, კანკაძე, გ. ვერულაშვილი, არველაძე, ძაგნიძე, ორმოცაძე (გიორგ ბრეგვაძე), პაიკიძე, ბუიშვილი, ხურცილავა, ჯ. ვერულაშვილი, გოჩა ბრეგვაძე.**

**„ქუთაისი“: მ. თევზაძე. (ხელაძე), გ. თევზაძე (ჯანხოთელი), წიქარიშვილი, ბზიკაძე, მანაგაძე, ნადირაძე, შენგელია, ხუნდაძე, ჯანაშია, დარასელია, ფაიქიძე.**

**მსაჯები: ხ. კვარაცხელია, გ. კალანდია (ორივე — ზუგდიდი), მ. აბაიაძე (თბილისი).**

გულშემატკივართათვის ცნობილია, რომ წლევანდელი საფეხბურთო სეზონის II ტურის მატჩი ვანის „სულორსა“ და ქუთაისის „ქუთაისს“ შორის, რომელიც ფრედ — 1:1 დამთავრდა, ორჯერ გააპროტესტეს — ჯერ დებულების დარღვევის გამო. „ქუთაისს“ ჩაეთვალა დამარცხება — 0:3, შემდეგ კი, ქუთათურებმა შეიტანეს პროტესტი და, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, „ქუთაისს“ მიეცა გადათამაშების უფლება. სწორედ 27 მაისს ჩატარდა ეს მატჩი. ჩინებულმა საფეხბურთო ამინდმა საინტერესო თამაშისათვის განაწყო ფეხბურთელები და მართლაც, ფეხბურთის მოყვარულებმა იხილეს სახიფათო კომბინაციები, გონივრული და ზუსტი გადაცემები, რაც მთავარია, ურთიერთის პატივისცემით გამსჭვალული მატჩი. მიუხედავად იმისა, რომ „ქუთაისი“ დამარცხდა დიდი ანგარიშით, ვერ ვიტყვით, რომ მათ სუსტად ითამაშეს. პირიქით, პირველი ტაიმის ბოლო 15 წუთი და მეორე ნახევრის დასაწყისი აშკარად ქუთაისელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ უნაკლოდ ითამაშეს ვანელთა დაცვის ხაზმა და მეკარე კიკალეიშვილმა. პირველი გოლი ორმოცაძის გადაცემის შედეგად მე-8 წუთზე გაიტანა პაიკიძემ. 24-ე წუთზე სტუმართა საჯარიმოში გოჩა ბრეგვაძემ მოატყუა ორი მცველი, გადააწოდა ბურთი ჯიმშერ ვერულაშვილს, რომელმაც დაუყოვნებლივ მოსძებნა ხურცილავა, ამ უკანასკნელმა კი ზუსტი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა. ორი წუთის შემდეგ, ჯ. ვერულაშვილმა მესამე ბურთი გაიტანა. ამის შემდეგ, ვანელმა ფეხბურთელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს, უმეთვალყურეოდ დატოვეს ქუთაისელთა თავდამსხმელები, რითაც ისარგებლა ფაიქიძემ და პრესტიჟის გოლიც გაიტანა.

გოლმა გააქტიურა ქუთათურები: გამუდმებით უტევდნენ წიქარიშვილი, ჯანაშია, დარასელია, მაგრამ მათთვის „მიუწვდომელი“ აღმოჩნდა „სულორის“ კარი.

მეორე ტაიმის პოლო ოცდახუთ წუთში უპირატესობას კვლავ ვანელები დაეუფლნენ და ბუიშვილმა კიდევ ორჯერ აიღო ქუთაისელთა კარი. 5:1 — ასე მოიგო ვანის „სულორმა“ ეს მატჩი და წლევანდელ გათამაშებაში პირველად გაიმარჯვა დიდი ანგარიშით.

**ჯურთაზ პირველაშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**

# ტარანტოდან სალერნოამდე

**ჯანლუკა** ვიალის, იტალიის ნაკრებისა და გენუის „სამპდორიას“ უძლიერეს ფეხბურთელს, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს, განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. მას საკმაოდ კარგად იცნობენ ფეხბურთის თაყვანისმცემლები, რომლებსაც ისიც მოეხსენებათ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე უფერული გამოსვლის შემდეგ ვიალის „აქციები დაეცა“. არადა, არცთუ დიდი ხნის წინ ძნელი წარმოსადგენიც კი იყო იტალიის ნაკრები მისი ბრწყინვალე ეერიშების გარეშე. რას იზამ, სპორტში ხომ ყველაფერი ხდება, მაგრამ ვიალის შემთხვევა მაინც სულ სხვაა, რადგან უკანასკნელ წლებში სწორედ ის იყო იტალიური ფეხბურთის უგვირგვინო შეფე და ტიფოზების ნამდვილი კერპი.

ჯანლუკა ვიალი დაიბადა 1964 წლის 9 ივლისს კრემონაში. მისი საფეხბურთო კარიერაც ამავე ქალაქის გუნდ „კრემონეზეში“ დაიწყო. ეს კლუბი იტალიის პირველობის „ბ“ სერიაში გამოდიოდა და მის შემადგენლობაში ჩატარებულ 103 მატჩში ფეხბურთელმა 34 გოლი გაიტანა.

1984 წლიდან ვიალი „სამპდორიას“ ლირსებას იცავს. ეს კლუბი თავისი მიღწევებით ბევრად ჩამოუვარდება იტალიური ფეხბურთის ისეთ გრანდებს, როგორებიც არიან „მილანი“, „ინტერი“, „იუვენტუსი“ და თუნდაც ქალაქ გენუის მეორე გუნდი „ჯენოა“, თუმცა „სამპდორიამ“ ბოლო ხანს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და ამას ფეხბურთის სპეციალისტები იუგოსლავიელი მწვრთნელის ვუიადინ ბოჟკოვისა და ჯანლუკა ვიალის დამსახურებად მიიჩნევენ.

შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელმა „სამპდორიას“ შემადგენლობაში სამჯერ მოიპოვა იტალიის თასი. 1989 წელს კლუბი გავიდა ევროპის ჩემპიონატების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში, სადაც დამარცხდა ესპანეთის „ბარსელონასთან“. ერთი წლის შემდეგ კი „სამპდორიამ“ აღარავის დაუთმო ეს სპატიო პრიზი — ფინალურ მატჩში ვიალის ორი შესანიშნავი გოლის წყალობით დაამარცხა ბელგიის „ანდერლეხტი“.

იტალიის ნაკრებში ჯანლუკა ვიალი ენცო ბეარზოტის მუშაობის პერიოდში გამოჩნდა და მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზეც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მისი საფეხბურთო ნიჭი „სკუადრა აძურაში“ აძელიო ვიჩინის მოსვლის შემდეგ გამობრწყინდა.

ალბათ, გახსოვთ, რა კარგი შთაბეჭდილება დატოვა იტალიის გუნდმა ევროპის უკანასკნელ ჩემპიონატში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი შეტევების ლიდერი ჯანლუკა ვიალი, რომელმაც სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც იტალიაში უნდა გამართულიყო, ამ ქვეყნის ნაკრებს თითქმის ყველა ჩემპიონობას, მის ლიდერს — ვიალის კი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის სახელის მოპოვებას უწინასწარმეტყველებდა.

ის, რაც მსოფლიო პირველობაზე მოხდა, ყველასათვის მოულოდნელი იყო. იტალიის ბოლო წლების საუკეთესო ფეხბურთელი პირველ ორ მატჩში თავისთავს არ ჰგავდა და მალე სათადარიგოთა სკამზეც გადაინაცვლა. ყველას გასაკვირად, ნაკრებში სულ სხვა ფეხბურთელები ასრულებდნენ მთავარ როლებს. მხოლოდ გენუელებისათვის რჩებოდა ვიალი ხელშეუხებელ კერპად, ისინი თვლიდნენ, რომ ფეხბურთელი ვიჩინის წინდაუხედობის მსხვერპლი გახდა.

არადა, საბოლოოდ ყველაზე დიდი მსხვერპლი თავად „სკუადრა აძურა“ აღმოჩნდა, რომელმაც, როგორც გახსოვთ, არგენტინის ნაკრებთან ნახევარფინალურ მეხვედრაში პენალტების სერიით დამარცხდა და მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებას გამოეთხოვა. ამ მატჩის შემდეგ ბევრი სპეციალისტი თვლიდა რომ ვიჩინიმ შეცდომა დაუშვა, როცა ნახევარფინალში მინდორზე გამოიყვანა ვიალი და არა რობერტო ბაჯო. მათი აზრით, ძირითადად ამან განაპირობა იტალიელთა მარცხი.

ასეთ განცხადებას, ცხადია, არ ეთანხმებოდნენ და არც ახლა ეთანხმებიან ვიალის ყველაზე ერთგული გენუელი გულშემატკივრები. ისინი დღესაც არ ჰპატიობენ ვიჩინის მათი კერპის უგულებელყოფას და, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრების მწვრთნელი ვალდებულია დაესწროს იმ კლუბების მატჩებს, სადაც ნაკრების მოთამაშეები გამოდიან, ვიჩინი მაინც ვერ ბედავს გენუაში ჩასვლას.

ვიალისთვის მსოფლიო ჩემპიონატის მომდევნო სეზონიც საკმაოდ წარუმატებლად დაიწყო. სექტემბრის დასაწყისში მან მძიმე ოპერაცია გადაიტანა და მხოლოდ ნოემბრის შუა რიცხვებიდან შეუდგა თამაშს. „სამპდორიას“ გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ თავიანთი კერპის დაბრუნებას და ფეხბურთელმაც არ გაწბილა ისინი — კვლავ ჩვეული ოსტატობით ათამაშდა.

„სამპდორიამ“ ერთი ტურით ადრე მოიპოვა იტალიის ჩემპიონის ტიტული. გუნდის წინსვლაში დიდი ჯანლუკა ვიალის დამსახურება. ერთი სიტყვით, იტალიელი ტიფოზების თვალში ვიალიმ ისევ აღიდგინა ავტორიტეტი და, როგორც ჩანს, ნაკრებშიც იბრუნებს ლიდერის პოზიციებს. ყოველ შემთხვევაში, შესანიშნავად ითამაშა და ლამაზი გოლიც გაიტანა ახლახან სალერნოში გამართულ უნგრეთის ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირის მეტად პრინციპულ მატჩში.

ამასთან დაკავშირებით იტალიელ ჟურნალისტებს: გაახსენდათ, რომ სალერნოს მატჩამდე ვიალიმ თავისი უკანასკნელი გოლი „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში გაიტანა ზუსტად ორი წლის წინ ტარანტოში, სადაც იტალიელთა მეტოქე სწორედ უნგრეთის ნაკრები იყო. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ორი წლის შესვენების შემდეგ იტალიამ კვლავ დაიბრუნა თავისი საყვარელი ფეხბურთელი.

**ზაია ბერაძე**

ჩემპიონთა თასის წინ

# საღ გაგრძელდება ზეიმი?

**დღეს** იტალიის ქალაქ ბარიში გამართება ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის — ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი. პირველად ამ ტურნირის 35-წლიან ისტორიაში თასი გაემგზავრება ან საფრანგეთში, რომლის „ინტერესებს“ მარსელის „ოლიმპიკი“ დაიცავს, ან იუგოსლავიაში, რომელსაც ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ წარმოადგენს.

კლუბი „მარსელი“ (ოფიციალური სახელწოდება — „ოლიმპიკი“ მარსელი) 1918 წელს დაარსდა. საფრანგეთის ჩემპიონი იყო 1937, 1948, 1971, 1972, 1989-1991 წლებში. საფრანგეთის თასს ფლობდა 1924, 1927, 1935, 1938, 1943, 1969, 1976, 1987, 1989 წლებშ.

ჩემპიონთა თასის წლევანდელ გათამაშებაში დაამარცხა: „დინამო“, (ტირანა, ალბანეთი) — 5:1, 0:0; პოლონეთის „ლეხი“ — 2:3, 6:1; „მილანი“ (იტალია) — 1:1, 1:0; მოსკოვის „სპარტაკი“ — 3:1, 2:1.

„ცრვენა ზვეზდა“ 1945 წელს დაარსდა. იუგოსლავიის ჩემპიონი იყო 1951, 1953, 1956, 1957, 1959, 1960, 1964, 1968, 1970, 1973, 1977, 1980, 1981, 1984, 1986, 1988, 1990, 1991 წლებში. იუგოსლავიის თასს ფლობდა 1948-1950, 1958, 1959, 1964, 1968, 1970, 1971, 1974, 1982, 1985, 1990 წლებში.

ჩემპიონთა თასის წლევანდელ გათამაშებაში დაამარცხა: „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — 1:1, 4:1, „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — 3:0, 1:1, დრეზდენის „დინამო“ — 3:0, 2:1, მიუნხენის „ბავარია“ — 2:1, 2:2.

**შარშან**, მსოფლით ჩემპიონატის წინ, როცა „ცრვენა ზვეზდას“ ხელმძღვანელებმა ნახევარმცველი დრაგან სტოიკოვიჩი კლუბ „მარსელს“ მიჰყიდეს, ისინი, რა თქმა უნდა, არ ელოდნენ, რომ ეს გუნდები ერთი წლის შემდეგ ჩემპიონთა თასის ფინალში შეზვდებოდნენ ერთმანეთს და სტოიკოვიჩს ყოფილ თანაკლუბელთა წინააღმდეგ მოუწევდა თამაში. თუმცა, მხოლოდ იუგოსლავიური კლუბის ხელმძღვანელობა კი არა, საერთოდ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 1991 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში „მარსელი“ და „ცრვენა ზვეზდა“ გავიდოდნენ. ტურნირში ხომ ისეთი „გრანდები“ მონაწილეობდნენ, როგორნიც არიან „მილანი“, „ნაპოლი“, „ბავარია“, მადრიდის „რეალი“, „პორტო“, ესვ „ეინდჰოვენი“ — გუნდები, რომლებიც, ერთად აღებულნი, 22-ჯერ ფლობდნენ ევროპის სხვადასხვა საფეხბურთო თასებს.

„ცრვენა ზვეზდამ“, ევროპულ ტურნირებში თითქმის ყოველწლიური მონაწილეობის მიუხედავად, მხოლოდ ერთხელ (1979 წელს) მიაღწია უეფა-ს თასის ფინალს, რომელშიც მიონჰენგლადბახის „ბორუსიასთან“ დამარცხდა. რაც შეეხება „მარსელს“, იგი ნახევარფინალს არასოდეს გასცდენია.

მართალია, ორივე ეს კლუბი ბოლო წლების განმავლობაში დომინირებს თავიანთი ქვეყნების ჩემპიონატებში, — „მარსელი“ ზედიზედ მესამე წელია ეუფლება ჩემპიონის ტიტულს, „ცრვენა ზვეზდა“ კი — ზედიზედ მეორედ, მაგრამ საფრანგეთის და იუგოსლავიის ჩემპიონატები თავისი კლასით მაინც ვერ შეედრებიან იტალიის, ინგლისის, ესპანეთისა და გერმანიის ჩემპიონატებს. ეს ყველაფერი ასეა, და მაინც, უკვე რამდენიმე წელია, „მარსელზე“ იმდენსვე წერენ და ლაპარაკობენ, რამდენსაც სხვა ფავორიტებზე: ამაში „ბრალი“ ერთ კაცს მიუძღვის — ბერნარ ტაპის.

ცნობილი ბიზნესმენი ბერნარ ტაპი ოთხმოციანი წლების შუა პერიოდში „მარსელის“ პრეზიდენტი გახდა. მან მაშინვე გააკვირვა ფეხბურთის სპეციალისტები და გულშემატკივრები თავისი, იმ დროისათვის ძალზე საეჭვო განცხადებით, რომ „მარსელს“ ევროპის ერთერთ უძლიერეს გუნდს გახდიდა. სულ მალე ტაპიმ ყველა დაარწმუნა, რომ ეს უსაფუძვლო ამბიციური განცხადება კი არა, რეალისტური სამოქმედო პროგრამა იყო.

პირველ ხანებში მან გუნდში მიიწვია საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მიშელ იდალგო, გფრ-ის ნაკრების ცენტრალური მცველი კარლ-ჰაინც ფიორსტერი და მანამდე ბელგიის „ბრიუგეში“ მოთამაშე ჟან-პიერ პაპენი. მათი დახმარებით „მარსელი“ მოკლე ხანში საფრანგეთის საუკეთესო გუნდთა რიცხვს შეუერთდა. მალე ტაპი გუნდის შემდგომ გაძლიერებასაც შეუდგა. იყიდა ფეხბურთელები, რომლებიც ევროპის ნებისმიერ კლუბს დაამშვენებდნენ — ტიგანა, ამორო, ბოლე, უოდლი, სტოიკოვიჩი და მწვრთნელი — ბელგიელი რაიმონდ გუტალსი. ტაპემ „კაიზერ ფრანციის“ — ბეკენბაუერის გადმობირებაც მოახერხა. ეს უკანასკნელი კლუბის მენეჯერი გახდა.

ყოველივე ამის მიუხედავად, წლევანდელ ზამთარსა და ადრიან გაზაფხულზე ფრანგთა შანსებს არც ისე დიდად აფასებდნენ. ეს პესიმიზმი გამოწვეული იყო რამდენიმე მიზეზით: სტოიკოვიჩის მძიმე ტრავმით, კლუბის ხელმძღვანელობის უთანხმოებით ტიგანასა და ახალგაზრდა თავდამსხმელ კანტონასთან, რომელიც ამ უკანასკნელთა გუნდის ძირითადი შემადგენლობიდან გამოყვანით დამთავრდა, პრესაში „გაჟონილი“ ინფორმაციით ტაპისა და ბეკენბაუერს შორის მომხდარი კონფლიქტის თაობაზე. და მაინც, გუნდმა შეძლო მობილიზება და მეთხუთედფინალში დაამარცხა თვით „მილანი“ მის „მფრინავ ჰოლანდიელებიანად“: გულიტი, ვან ბასტენი და რაიკაარდი ვერას გახდნენ „მარსელთან“ და ერთბაშად შეწყდა კიდეც პესიმისტების წინასწარმეტყველება. გუტალსმა ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა ტიგანა, მძიმე ტრავმის შემდეგ მოედანზე სტოიკოვიჩიც გამოჩნდა, ბრწყინვალედ. გვარის საკადრისად დაიწყო თამაში წარმოშობით განელმა პელემ. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ საფრანგეთის ბოლო ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირის პაპენის და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის უოდლის ჩინებულ სპორტულ ფორმას, ნათელი გახდება, რომ ბერნარ ტაპი ძალზე ახლოსაა თავისი სანუკვარი ოცნების აღსრულებასთან — პირველად მოუპოვოს ჩემპიონთა თასი საფრანგეთს, ქვეყანას, რომელმაც „მოიგონა“ და პირველმა მოაწყო ევროპაში ყველაჯეს პრესტიჟული საკლუბო ტურნირი.

„ცრვენა ზვეზდას“ წარმატებას ბევრნი „მოიერიშე სამეულის“ — ფორვარდების — დრაჟან სავიჩევიჩის, დარკო პაწჩევის და ნახევარმცველ რობერტ პროსინეჩკას ბრწყინვალე თამაშით ხსნიან. ისინი ახალგაზრდები და პატივმოყვარენი არიან. ადრე ამ ფეხბურთელებს დრაგან სტოიკოვიჩი „ჩრდილავდა“, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ მათ უფრო ლაღად და შთამბეჭდავად დაიწყეს თამაში და სულ რამდენიმე თვეში მარტო კლუბის კი არა, იუგოსლავიის ნაკრების ლიდერებადაც მოგვეელინენ. ახლა მათზე ევროპის მდიდარი კლუბებიც „ნადირობენ“. მაგალითად, მადრიდის „რეალი“ მზადაა, პროსინეჩკას შესასყიდად 10 მილიონი დოლარი გაიღოს.

ამ სამი ნიჭიერი ფეხბურთელის გარდა „ცრვენა ზვეზდას“ სხვა ცნობილი ოსტატებიც ჰყავს — იუგოსლავიის ნაკრების მოთამაშეები: მცველი მორავიჩი, ნახევარმცველები — მიხაილოვიჩი და შაბანჯევიჩი, ბუქარესტის „სტიაუასა“ და რუმინეთის ნაკრების მოთამაშე ბელოდედიჩი...

ერთი სიტყვით, დღეს იტალიის ქალაქი ბარი დიდი სპორტული ზეიმის მოლოდინშია. სად გაგრძელდება ეს ზეიმი — საფრანგეთსა თუ იუგოსლავიაში — რამდენიმე საათში გაირკვევა.

**ზურაბ ტაბატაძე**

UEFA ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

# ინგლისური ფეხბურთი

## ესტონეთის ფეხბურთის აბრეშუმი

ბრის შუა რიცხვებიდან შეუდგა თამაშს. „სამპდორიას“ გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ თავიანთი კერპის დაბრუნებას და ფეხბურთელმაც არ გაწბილა ისინი — კვლავ ჩვეული ოსტატობით ათამაშდა.

„სამპდორიამ“ ერთი ტურით ადრე მოიპოვა იტალიის ჩემპიონის ტიტული. გუნდის წინსვლაში დიდი ჯანლუკა ვიალის დამსახურება. ერთი სიტყვით, იტალიელი ტიფოზების თვალში ვიალიმ ისევ აღიდგინა ავტორიტეტი და, როგორც ჩანს, ნაკრებშიც იბრუნებს ლიდერის პოზიციებს. ყოველ შემთხვევაში, შესანიშნავად ითამაშა და ლამაზი გოლიც გაიტანა ახლახან სალერნოში გამართულ უნგრეთის ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირის მეტად პრინციპულ მატჩში.

ამასთან დაკავშირებით იტალიელ ჟურნალისტებს: გაახსენდათ, რომ სალერნოს მატჩამდე ვიალიმ თავისი უკანასკნელი გოლი „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში გაიტანა ზუსტად ორი წლის წინ ტარანტოში, სადაც იტალიელთა მეტოქე სწორედ უნგრეთის ნაკრები იყო. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ორი წლის შესვენების შემდეგ იტალიამ კვლავ დაიბრუნა თავისი საყვარელი ფეხბურთელი.

**ზაია ბერაძე**

## ეს „ინგლიანი“ — გრეჰემ ტეილორი

თითქმის ერთი წელია, ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრებს ხელმძღვანელობს გრეჰემ ტეილორი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ამ თანამდებობაზე ბობი რობსონი შეცვალა. ინგლისური პრესა მას არა მარტო მაღალი კვალიფიკაციის, არამედ ფრიად იღბლიან მწვრთნელადაც თვლის და ელის, რომ გაისად, ტეილორის ხელმძღვანელობით ინგლისელები ევროპის პირველობაზე წარმატებას მიაღწევენ.

ვინ არის გრეჰემ ტეილორი? იგი 46 წლისაა. 7 წლის გამავლობაში „გრინსბი თაუნში“ გამოდიოდა. თანაც, სულ სხვადასხვა დონეზე; მეორე ლიგაში, მესამეში და მეოთხეშიც. „ლინკოლნ სიტიშიც“ თამაშობდა მესამე და მეოთხე ლიგებში. 28 წლის ასაკში მძიმედ დაშავდა და იძულებული გახდა, თამაშისათვის თავი დაენებებინა.

მას შემდეგ, რაც გრეჰემ ტეილორმა „ლინკოლნ სიტი“ დატოვა, იგი ამავე გუნდს ჩაუდგა სათავეში, და მეორე წელსვე მესამე ლიგაში გადაიყვანა. ეს შედეგი, ერთი შეხედვით, დიდი ვერაფერი მიღწევაა, მაგრამ დამწყები სპეციალისტისთვის ურიგო არ გახლდათ: შემდეგ ტეილორი გადავიდა „უოტფორდში“, სადაც 5 წლის ძანძილზე უდიდეს წარმატებას მიაღწია: მეოთხე ლიგის კლუბი პირველამდე (!) მიიყვანა, გაიმეორა ის, 60-იან წლებში სახელგანთქმულმა ალფ რამსეიმ რომ გააკეთა (რაც ნაკრების მწვრთნელად მისი მიწვევის საფუძველი გახდა); პირველ ლიგაში გადასული „უოტფორდი“ 1983 წელს ინგლისის პირველობაზე მეორე ადგილზე გავიდა, რაც ცხადია, დიდი მიღწევა იყო. ტეილორი კი, სრულიად დამსახურებულად, ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

უკანასკნელ წლებში იგი მუშაობდა ბირმინგემის „ასტონ ვილაში“, რომელიც ჯერ პირველ ლიგაში დაამბრუნა, შემდეგ კი ჩემპიონატში მეორე საპრიზო ადგილზეც გაიყვანა, ყოველივე ამის შემდეგ მან, ინგლისში საყოველთაო აღიარება დამსახურა.

— როცა „ასტონ ვილაში“ დავიწყე მუშაობა, ჩემმა კრიტიკოსებმა საქვეყნოდ განაცხადეს, რომ დიდი არაფერი ავლა-დიდება გამაჩნდა და ასეთი ერუდიციით პირველხარისხოვან კლუბებში ვერაფერს გავხდებოდი. ძალიან მალე დავამტკიცე, რომ მათი სიტყვები, უბრალოდ, რომ ვთქვათ, მოკლებული იყო სამართლს. შემდეგ ნაკრებშიც სრულ ჩავარდნას მიწინასწარმეტყველებდნენ. არც ეს აღმოჩნდა მართალი — აი, „გაბრაზებული“ ტეილორის სიტყვები.

ახლა კრიტიკოსები ვეღარ წერენ ტეილორის „ავლა-დიდებაზე“, ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მას, უბრალოდ, „უმართლებს“ რაც შეეხება მის მრავალრიცხოვან მომხრეებს, ისინი თანაზომანი არიან, ტეილორს ევროპის პირველობაზეც გაუმართლოს.

# 30 წელი—ჩვენი სპორტის ისტორიის ნაწილი

**საზეიმოდ** გამოიყურებოდა პარასკევ საღამოს თბილისის სპორტის სასახლე — გუმბათქვეშ გადმოფენილი იყო უზარმაზარი ეროვნული დროშა, იქვე ეკიდა საკმაოდ მოზრდილი კუბი, რომელსაც საიუბილეო ემბლემები ამშვენებდა. ირგვლივ 30 წლის წინანდელი ქართული სიმღერების მცოდნეები იღვრებოდა, ნათელ და ფართო ფოიეში გამოეფინათ ჩვენი საამაყო სპორტსმენების პორტრეტები და სპორტულ თემაზე შესრულებული ფოტოსურათები. აქვე იყიდებოდა იუბილესათვის საგანგებოდ შემზადებული პროგრამა — ბუკლეტები, სამკერდე ნიშნები, ვიმპელები. მხიარული განწყობილება დაუფლებოდა ყველას.

...„სალამი ჩვენს მასპინძლებსა“ — გაისმა ვექტორ დოლიძის დიდებული მელოდია. სარბიელზე ძველებური ტრადიციული ეტლით შემოვიდნენ ზეიმის „სტუმარ-მასპინძელნი“, სპორტის სასახლის სხვადასხვა დროის დირექტორები: გიორგი ეგნატაშვილი, გივი ყირმელაშვილი, გიორგი შარაშიძე. ზეიმს ესწრებოდა აგრეთვე 70 წელს მიღწეული რაჟდენ იმნაძეც — სპორტის სასახლის პირველი დირექტორი. საპატიო სტუმრებს გულთბილად მიესალმა სასახლის ამჟამინდელი დირექტორი თენგიზ ლომიძე.

საღამოს წამყვანებს — დონარა კინწურაშვილსა და ზაზა ალექსიძეს სცენასა და სარბიელზე ერთი მეორეს მიყოლებით გამოჰყავდათ სტუმრები ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან, და ლიტვიდან, სასახლის მშენებლობის არქიტექტორი იური კასრაძე, ერთ-ერთი პირველი დირექტორთაგანი გიორგი ეგნატაშვილი და სხვანი.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ხელოვნების ოსტატები, მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი ნელი სალაძის ხელმძღვანელობით. გაისმა ყველასთვის ნაცნობი „საჰიდაო“ და ორი ნორჩი ფალავანი ერთმანეთს შეერკინა — „მსჯმა“ ლევან თედიაშვილმა გამარჯვების ნიშნად ორივეს აუწია ხელი.

ეკრანზე გამოჩნდა ეროვნული მოძრაობის ამსახველი კადრები, სპორტის სასახლის მშენებლობის კინოფრაგმენტები ძველი, 1961 წლის ქრონიკიდან, სასახლის სცენაზე გამართული ერთ-ერთი პირველი კონცერტი 4 წლის ირმა სოხაძის მონაწილეობით.



**ვილნიუსელი სტუმრები ვიგანდას დედელა და ოვიდიუს იანჩუსკასი ლიტვის ეროვნულ დროშას გადასცემენ სახასლის დირექტორს თენგიზ ლომიძეს.**

...აყვერდა „სამშობლოს“, „მრავალჟამიერის“, „ღმერთო გაფარეო ქართველის“ გულშიჩამწვდომი მელოდიები.

იქვე, დამსწრეთა თვალწინ, „სპორტისმცოდნეთა“ სახელდახელოდ გამართულ კონკურსში გამარჯვებულს — ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების ტექნიკურ რედაქტორს შადმან ბიწაძეს გადაეცა სამახსოვრო პრიზი „ბროლის ბურთი“.

სპორტულ-სანახაობითი საღამოს დამდგმელი გახლდათ რეჟისორი ოთარ ღვაბერიძე.

**ოთარ ოთარაშვილი**



ეს ჭალბატონები თბილისის სპორტის სახასლეში მისი დაარსების პირველივე დღიდან მუშაობენ; სპორტის სასახლის სხვადასხვა დროის დირექტორები: (მარცხნიდან) — გიორგი ეგნატაშვილი, გიორგი შარაშიძე, გივი ყირმელაშვილი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

„სპორტპროგნოზი“, 28-ე ტირაჟის პროგრამა (7-8 ივნისი)

სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)

| | | პროგნოზი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. „შინიკი“ (იაროსლავლი) — „პარდაუგავა“ (რიგა) | 7.VI | 70 | 20 | 10 | 1 |
| 2. „ლოკომოტივი“ (ნიჟნი ნოვგოროდი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 7.VI | 10 | 60 | 30 | X |
| 3. „ნეფთჩი“ (ბაქო) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) | 7.VI | 60 | 30 | 10 | 2 |
| 4. „დინამო“ (სოხუმი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 7.VI | 40 | 40 | 20 | 1 |
| 5. „ზიმბრული“ (კიშინიოვი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) | 7.VI | 20 | 60 | 20 | X |
| 6. „ბუკოვინა“ (ჩერნოვცი) — „ტილიგული“ (ტირასპოლი) | 7.VI | 10 | 70 | 20 | 1 |
| 7. „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „უბანი“ (კრასნოდარი) | 7.VI | 70 | 20 | 10 | 1 |
| 8. „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი) | 7.VI | 20 | 60 | 20 | 2 |
| 9. „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „დინამო“ (სტავროპოლი) | 7.VI | 20 | 60 | 20 | 2 |

სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში. (მეორე ლიგა, ცენტრალური ზონა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10. „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ახმარალი“ (მოსკოვი) | 8.VI | 20 | 50 | 30 | 2 |
| 11. „დინამო“ (ბრიანსკი) — „ვოლგა“ (ტვერი) | 8.VI | 60 | 20 | 20 | X |
| 12. „ტორპედო“ (ვლადიმირი) — „კამაზი“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) | 8.VI | 60 | 30 | 10 | 1 |
| 13. „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ხოკოლი“ (როსტოვი) | 8.VI | 40 | 40 | 20 | 1 |

# ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘ

● **ᲡᲐᲡᲐᲠᲘ** (სარდინია). „ჯირო დ“ იტალიის“ მეორე ეტაპის შემდეგ ლიდერის მაისური იტალიელმა ფრანკო კოჩოლომ ჩაიცვა. მეორე და მესამე ადგილებზეც იტალიელი ველოსიპედისტები — ჯანი ბუნინო და კლაუდიო კიაპუჩი არიან.

● **ᲙᲐᲜᲘ.** ცხენოსან კონკურისტთა საერთაშორისო ტურნირი გერმანელმა ფრანკე სლოტჰაკმა მოიგო.

**ᲡᲔᲜᲢ-ᲯᲝᲜᲘ.** კანადელმა რეგბისტებმა დაამარცხეს შოტლანდიის ეროვნული ნაკრები 24:19.

**ᲙᲐᲚᲐ** (ინგლისი). ველოსიპედისტთა ტრადიციულ რბოლაში „რძის ტური“ მეორე ეტაპის შემდეგ დაწინაურდა მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი კრის უოკერი.

**ᲓᲣᲑᲚᲘᲜᲘ.** ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ დოღში „1000 გინეი“ გაიმარჯვა ადგილობრივმა სპორტსმენმა უორენ ოსკონორმა (ცხენი კოიოინგა).

## „ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“

**ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1991 წლის მე-20 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.246.305 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (60) მოგება 901 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1.510) — 71, 11 შედეგის გამოცნობისთვის (14.641) — 25.

საქართველოში: დაშვებულია 87.918 ვარიანტი. 13—2, 12—54, 11—417.

მე-20 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 8 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით.

# რა ისმის უცხოეთიდან ᲩᲔᲛᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

## ᲕᲘᲜ ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲕᲘᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘ

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ** პრესა საფუძვლიანად მიმოიხილავს ნბა-ს ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიების შედეგებს. საქმე ის გახლავთ, რომ, საერთო აღიარებით, პროფესიულ კალათბურთელთა არც ერთი ადრინდელი ტურნირი არ მიმდინარეობდა ასე საინტერესოდ და, ამავე დროს, კურიოზულად, როგორც ახლანდელი.

მაინც რაში ხედავენ მიმომხილველები ალოგიკურობას? პირველ ყოვლისა, საერთო გაკვირვებას იწვევს ნბა-ს ჩემპიონის — „დეტროიტ პისტონსის“ ასეთი უპერსპექტივო მდგომარეობა. ფავორიტი, რომელიც სეზონის დასაწყისში არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა წარმატების გამეორებას, აგებს ნახევარფინალურ სერიას მშრალი ანგარიშით — 0:3. ალოგიკურად მიიჩნევენ სპეციალისტები „ლოს-ანჯელეს ლეიკერსისა“ და „პორტლენდ ტრეის ბლეიზერის“ შეხვედრათა შედეგსაც (ჯერჯერობით „ლეიკერსი“ წინაა — 3:1). საქმე ის გახლავთ, რომ ტურნირის პირველ ეტაპზე „პორტლენდი“ ლიდერობდა აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებლით და ჩემპიონობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლებოდა. ახლა კი, ფინიშთან მიახლოებული, აშკარად თმობს პოზიციას და ერთობ უფერულადაც თამაშობს.

„ლეიკერსის“ წარმატებას მიმომხილველები, ბუნებრივია, „მეჯიკ“ ჯონსონის ბრწყინვალე თამაშს მიაწერენ. 24 მაისის შეხვედრაში („ლეიკერსმა“ გაიმარჯვა 106:92), მაგალითად, „მეჯიკი“ ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო (22 ქულა) ჯეიმს უორთთან ერთად (18 ქულა). მაგრამ, როგორც ეტყობა, აქ საქმე მარტო ჯონსონში არ არის. ბოლოს და ბოლოს ათამაშდა იუგოსლავიელი ვლადე დივაციც, რომელიც, სპეციალისტთა აღიარებით, საუკეთესო მოთამაშე იყო ამ გუნდების პირველ მატჩში (იგი „ლეიკერსმა“ მოიგო 111:106).

**ᲕᲚᲐᲓᲔ ᲓᲘᲕᲐᲪᲘ** (პირველი მატჩის შემდეგ): „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს პირველად ვიგრძენი მოედანზე თავი ღირსეულად. ახლა ვიცი, რომ ნბა-ს ჭაპანს გავწევ, ყოველ შემთხვევაში, უკვე მჯერა საკუთარი თავის“.

დივაცმა მეორე მატჩი (იგი „პორტლენდმა“ მოიგო — 109:98) შედარებით სუსტად ჩაატარა და თავის კოლექტივს მხოლოდ 9 ქულა შესძინა. ამისთვის იგი გააკრიტიკეს კიდეც, თუმცა იქვე აღნიშნეს, რომ დივაცმა პირწმინდად გამოთიშა თამაშიდან „პორტლენდის“ ცენტრალური თავდამსხმელი კევინ დაკვორტი, რაც არც ისე იოლი საქმეა.

**ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲐᲓᲔᲚᲛᲐᲜᲘ** („პორტლენდის“ მწვრთნელი): „მართალია, არასახარბიელო მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ჯერ არაფერია დაკარგული. მეტოქემ სამი მატჩი ჩვენზე უკეთ ჩაატარა და მოიგო. ახლა ჩვენი ჯერი დგება“.

რამდენიმე სიტყვა „ჩიკაგოსა“ და „დეტროიტის“ ორთაბრძოლაზეც (ანუ როგორც იცით, „დეტროიტი“ აგებს სერიას — 0:3). ბოლო მატჩშიც, რომელიც „ჩიკაგომ“ 6 ქულის უპირატესობით მოიგო (113:107), არსებითად არაფერი შეცვლილა. მაიკლ ჯორდანმა გუნდს 33 ქულა შესძინა, პიპენმა — 26. ეს ორი კალათბურთელი სტაბილური თამაშის ჩინებულ გაკვეთილს იძლევა.

**ᲛᲐᲘᲙᲚ ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘ** („ჩიკაგოს“ ლიდერი): „დეტროიტი“ ასეთ უმწეო მდგომარეობაში ალბათ არასდროს ყოფილა. მაგრამ თუ მაინც მოახერხა მდგომარეობის გამოსწორება, უსათუოდ ისტორიაში დარჩება. ოღონდ ჩვენ ყოველმხრივ შევეცდებით, რომ უსამართლობა არ მოხდეს. „ჩიკაგო“ ჩემპიონობის ღირსია და მან ეს შანსი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუშვას ხელიდან“.

**ᲩᲐᲙ ᲓᲔᲘᲚᲘ** („დეტროიტის“ მწვრთნელი): „ჩვენ კედელთან ვართ მიმწყვდეული, ამას ყველა ხედავს. იმასაც არავინ უარყოფს, რომ „ჩიკაგო“ ბრწყინვალე ფორმაშია. მაგრამ „დეტროიტი“ ახლა პრესტიჟის გადასარჩენად იბრძვის და დარჩენილ შეხვედრებში თავს არ დაზოგავს“.

**ᲐᲘᲖᲘᲐ ᲗᲝᲛᲗᲐᲡᲘ** („დეტროიტის“ ლიდერი): „ჩიკაგო“, რომელიც ბოლო სამი წლის მანძილზე მუდამ აგებდა ჩვენთან, ახლა მიზანთან ახლოსაა. მაგრამ შემდეგი მატჩი მისთვის, დარწმუნებული ვარ, უმძიმესი იქნება (თომასი, ჩანს, ჯერ კიდევ ფიქრობს კრიტიკული სიტუაციიდან „გამოძრომას“). ტრავმა რომ არ მაწუხებდეს, ასეთი საუბარი არც გვექნებოდა, მაგრამ რას იზამ. „ჩიკაგოს“ წლეულს აშკარად სწყალობს ბედი“.

ბოლო მატჩში ნახევრად ტრავმირებულმა აიზია თომასმა გუნდს 29 ქულა შესძინა, ვინი ჯონსონმა — 25, მარკ აგირემ — 17.

რედაქტორი
**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ**



**ᲑᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲘᲭᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ**

ა. წერეთლის გამზ. № 2

**30 მაისი ● ფეხბურთი**

საქართველოს რესპუბლიკის „სიჰაბუკის“ თასის გათამაშების ფინალური მატჩი.

დასაწყისი 16 საათზე.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

**„იბერია“ (თბილისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო).**

დასაწყისი 19 საათზე.

მატჩებზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 29 და 30 მაისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები: მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ს. კოსტავას, 14,
ფულისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ᲮᲐᲭᲐᲠᲘᲗᲚᲘᲡ ᲞᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲚᲘᲡ „ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲔᲚᲘ“ ᲑᲔᲭᲓᲘᲡ. 380009, თბილისი, ს. კოსტავას, 14. ᲑᲔᲭᲓᲘᲡ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲘᲜᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20